

მეტაფორიზებული ტექსტის თარგმნის პრობლემები

(ნიმუში: ჰ. ჰესეს რომანი „ტრამალის მგელი“)

ნანა გოგოლაშვილი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ტრანსლაციის ანუ თარგმანმცოდნეობის ერთ—ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მისი ინტერდისციპლინირებული ხასიათი. ეს გარდატეხა მას შემდეგ მოხდა, რაც ტრანსლაციამ უარი თქვა თარგმნილი ტექსტების წმინდა ლინგვისტურ ინტერპრეტაციაზე და ისეთ მეცნიერებების სფეროში შეიჭრა, როგორცაა ფილოსოფია, სემიოტიკა, ფსიქო—და სოციოლინგვისტიკა, კოგნიტიური ლინგვისტიკა და ტექსტის ლინგვისტიკა.

ამ მეცნიერებებზე ორიენტირებულმა ტრანსლაციამ თავი დააღწია წმინდა ლინგვისტური თეორიებითა და მეთოდებით მანიპულირებას. მას მიეცა შესაძლებლობა, შეექმნა საკუთარი თეორიები და კვლევის მეთოდები და, ამრიგად, გათავისუფლებულიყო ერთი მეცნიერების ტყვეობისგან. ტრანსლაციის სფეროში დამკვიდრებული თეორიებისა და მეთოდების წყალობით პრაქტიკოს მთარგმნელებსაც გაუჩნდათ შესაძლებლობა ახლებურად შეეხედათ თარგმნის პროცესისათვის, და დარწმუნებულიყვნენ, რომ არ შეიძლება მხატვრული ტექსტის თარგმნა ხელაღებით, ყოველგვარი მომზადების გარეშე, რომ ტრანსლაცია მეცნიერებაა, რომელსაც სხვა მეცნიერებების მსგავსად, გააჩნია თავისი თეორიები, მეთოდები და ტერმინოლოგია, რომელთა უგულებელყოფის შემთხვევაში ტრანსლაცია ვერასოდეს გახდება სერიოზული სპეციალობა. მთარგმნელი ვერ მოახდენს სათარგმნი ტექსტის ინტერპრეტაციას პროფესიულ დონეზე, ვერ შეძლებს კრიტიკოსების შენიშვნებისათვის საკუთარი არგუმენტების დაპირისპირებას, და რაც მთავარია, ვერ შეძლებს საკუთარი თუ სხვისი თარგმანების კრიტიკულ შეფასებას.

მხატვრული ტექსტი წარმოადგენს ერთი ერის წიაღში შექმნილ ფენომენს, რომლის თარგმანსაც მეორე ერის კულტურაში შემეცნებით—ესთეტიკური ღირებულება უნდა ჰქონდეს. თუ ორიგინალის ტექსტს ამგვარი ღირებულება არ გააჩნია, მისი თარგმნა გამართლებული არ არის.

მხატვრული ტექსტის „სამყაროს მოდელირების“ სიმძნელე მთარგმნელისათვის ამ ტექსტის საზრისის დაფარულობაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ იგი რეალური საგნებისა და ობიექტების სახით არ მოგვეცემა. არადა, მხატვრული ტექსტები არანაკლებ საგნობრივები არიან, ვიდრე სპეციალური ტექსტები, რომელთაც კვლევის ხელშესახები ობიექტები გააჩნიათ. სამაგიეროდ, მხატვრული ტექსტები განუსაზღვრელი „სამყაროსეული სურათების“ მოდელირების საშუალებას იძლევა, რის დროსაც რეალური საგნები და მოვლენები სუბიექტის საკუთრებად იქცევა და ამის წყალობით, რეალობის

აღქმა და წარმოდგენებისა თუ იდეების რეპერტუარი მთარგმნელის ცნობიერებაში სუბიექტურად გარდაისახება.

ჰერმენევტიკას, როგორც ინტერპრეტაციის, გაგება— გაგებინების, ახსნა — განმარტების, თარჯიმნობისა და თარგმნის თეორიას ყველაზე კარგად მიესადაგება ტრანსლატიკის ობიექტის, მხატვრული მეტაფორიზებული ტექსტის კვლევის მეთოდები, რადგან ჰერმენევტიკული ანალიზი იმ წესების დაცვას გულისხმობს, რომლებიც აუცილებელია სხვადასხვა წერილობითი დისკუსიის ინტერპრეტაციისათვის.

თანამედროვე ჰერმენევტიკის მამამთავარი ჰანს— გეორგ გადამერი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ჭეშმარიტება და მეთოდი“ აყალიბებს თვალსაზრისს საერთოდ „გაგების“ ცნების შესახებ. ამიერიდან „გაგების“ კატეგორია სემიოტიკის ნებისმიერი სფეროს, მათ შორის ტრანსლატიკის ძირითადი ცნება ხდება. გადამერი თანმიმდევრულად განიხილავს ჰაიდეგერის „ეზოისტენციის“ ცნებას, რომელიც „გაგების“ საფუძველს და მუნყოფიერების ძირითად მოდულს წარმოადგენს. ჰაიდეგერთან „გაგება“ მოიცავს „წინასწარ ჩანაფიქრს“ (Vorhabe), წინდახედულობას (Vorsicht) და „წინასწარი გადაწყვეტილების მიღებას“ (Vorgriff). ამგვარი „ჰერმენევტიკული წრის“ საზრისი საფუძვლად უდევს ყოველგვარ გაგებას, რაც საზრისის ნამდვილ, სრულყოფილ მთლიანობაში გამოვლინდება.(გადამერი: 1990:298).

თეორიული და მეთოდოლოგიური წინარე ცოდნის გარეშე თითქმის შეუძლებელია მეტაფორიზებული, მხატვრული ტექსტების თარგმნა. მხატვრული ტექსტის თარგმნისას მთარგმნელი თავის ცნობიერებაში ენის ფენომენტთან ერთად ჩართავს „ჩარჩოს“ (frame) და „სცენის“ (scene) ცნებებს, დაკავშირებულს ჰერმენევტიკის, სემიოტიკის, კოგნიტიური ლინგვისტიკის თუ პრაგმატიკის სფეროსთან. ამ დროს საქმე აღარ ეხება წყარო— ტექსტის ცალკეული სიტყვების მიზან — ტექსტის სიტყვებით თარგმნას და მთარგმნელი იმ ფრეიმების და სცენების გარემოში ხვდება, რომელთა ვერბალიზაციის დროსაც წყარო— ტექსტისა და მიზან— ტექსტის ცნებები მეტაფორების საშუალებით უკავშირდებიან ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, რომ წყარო— ტექსტის მეტაფორიზებულ, ფრეიმულ თუ სცენურ წარმოდგენებს მიზან— ტექსტის მსგავს ან ახალ მეტაფორებთან მიყვავართ, რაც ტექსტის ავტორისა და მთარგმნელის კრეატიული აზროვნების ურთიერთმონაცვლეობაში გამოვლინდება.

მხატვრული ტექსტის ზედაპირულ სტრუქტურებზე ორიენტირებული ტრადიციულად თარგმნის გზას მთარგმნელი არ მიჰყავს კრეატიული თარგმანის იდეასთან. დე ბონო კრეატიულ აზროვნებას ლატერალურს უწოდებს, რომელსაც, მთარგმნელები სამწუხაროდ, იშვიათად ან საერთოდ არ იყენებენ. ლატერალური აზროვნების ცნება დაკავშირებულია კოგნიტიური ლინგვისტიკის კონცეფციასთან და მთარგმნელის აზროვნებაში პერსპექტივის ან ფოკუსის შეცვლას ნიშნავს. (კუსმაული: 2000:119).

ამგვარი აზროვნება განსაკუთრებით გაცხადდება მეტაფორიზებული მხატვრული ტექსტების თარგმნისას, რადგან ამ დროს საქმე ეხება ალტერნატიულ აზროვნებას. ამგვარი აზროვნების მთარგმნელი წყარო— ტექსტში ეძებს იმ პროტოტიპულ, მეტაფორულ სცენებს, რაც ამ ტექსტის მიღმა იგულისხმება. მთარგმნელს ლატერალური

ასოციაციები ხელს უწყობს, მეტაფორიზებული მხატვრული ტექსტები კრეატიულად აღიქვას და, ასევე აძლევს მას საშუალებას, გადაწყვიტოს, ესა თუ ის ფრეიმი და სცენა მიზან— ტექსტში როგორ წამოსწიოს წინა პლანზე.

თარგმანის ცნობილი თეორეტიკოსი პაულ კუსმაული თარგმნის პროცესში გამოყოფს ოთხ ფაზას. ესენია: 1.პრეპარაცია ანუ მომზადების ფაზა, რომელიც წყარო— ტექსტის გაგებას გულისხმობს და მთლიანად მოიცავს სემიოტიკის სფეროს; 2.ინკუბაცია ანუ განვითარების ფაზა, რომელშიც შედის წყარო— ტექსტის ფრეიმებისა და სცენების მორგება მიზან— ტექსტზე; 3.ილუმინაცია ანუ „გამონათების“ ფაზა, როდესაც ხდება წყარო— და მიზან — ტექსტების შინაარსობრივი ჰორიზონტების კრეატიული შერწყმა, და, 4. ევალვაცია ანუ თარგმანის შეფასების ფაზა. რა თქმა უნდა, თარგმნის პროცესისათვის მნიშვნელოვანია ოთხივე ფაზა, მაგრამ მეტაფორიზებული ტექსტების თარგმნისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინკუბაციისა და ილუმინაციის ფაზები, რომლებსაც უშუალოდ მივყავართ მიზან— ტექსტის მეტაფორიზებულ, სცენიურ წარმოდგენებთან. (კუსმაული, 2000:58).

ბიბლიის კრეატიულმა თარგმანმა გერმანული ენის ისტორიაში სათავე დაუდო ახალ ეპოქას, როდესაც ლუთერმა ამ თარგმანით შექმნა დიალექტებისაგან თავისუფალი ლიტერატურული ენა. ლუთერის მთარგმანელობითი კრედიო იყო: „ჩაწვდი აზრს, სიტყვები თავისთავად მოვა“. ლათინური ბიბლიის გერმანულად თარგმნისას იგი დიდ დროს უთმობდა ცალკეული სიტყვებისთვის შესაბამისი გერმანული ვარიანტების მოძებნას. მისთვის ასეთი სიტყვა გამოდგა ლათინური „spiritus“, რომელიც ნიშნავს „ქარს“, (Wind), „ჰაერს“ (Luft), „სუნთქვას“ (Atem), „მაცოცხლებელ სიოს“ (Lebenshauch) და „ამოსუნთქვას“, „კვნესას“ (Seufzer). ბიბლიის ადრეულ თარგმანებში ამ ადგილას გამოყენებულია სიტყვა „Wind“ (ქარი). შესაქმესთან დაკავშირებით ლუთერი შენიშნავს: „იმხანად ქარი ჯერ არ არსებობდა, ამიტომ ეს სიტყვა „სულიწმინდას“ უნდა ნიშნავდეს“ო. სიტყვისადმი ამგვარი კრეატიული მიდგომა ყველა სხვა შესაძლებელ თარგმანს გამორიცხავდა, რადგან რა „ქარი“, „სუნთქვა“ ან „სიო“ შეიძლებოდა ყოფილიყო იქ, სადაც „სული ღმრთისაი იქცეოდა ზედა წყალთა“. ნებისმიერი სხვა თარგმანი ამ დროს უაზრო იქნებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩემს მიერ თარგმნილი ყველა ტექსტი, მიუხედავად მათი ავტორების განსხვავებული ეპოქებისა და ენობრივი კოდებისა, მეტაფორიზებული აზროვნების ნიმუშს წარმოადგენს.

ეს ავტორები არიან ე.თ.ა ჰომანი, ნოვალისი, ჰერმან ჰესე, თომას მანი, გიუნთერ გრასი, ჰერტა მიულერი, ტიმურ ვერმესი და სხვები. ეს ტექსტები არა მხოლოდ მეტაფორიზებულ სიტყვებს შეიცავენ, არამედ ისინი მთლიანად მეტაფორიზებულები არიან.

ასეთ ტექსტს წარმოადგენს ჰ. ჰესეს „ტრამალის მგელი“.

მეტაფორა (ბერძნ. metaphora ნიშნავს „გადატანას“) დაკავშირებულია მხატვრული ტექსტის ნებისმიერ ფენასთან, იქნება ეს სიტყვა, წინადადება, ფრაზა, აბზაცი თუ

მთლიანი ტექსტი. ამის მიხედვით გვაქვს: ნულოვანი, სტანდარტული და ავტორიზებული მეტაფორები.

ჰესეს მეტაფორების თარგმნისას პრეპარაციის ფაზაში თავდაპირველად ვიყენებთ ეგ. წ. bottom up პროცედურას, რაც ნიშნავს, რომ ტექსტის უმცირესი ერთეულების განმარტებიდან გავივლით ინკუბაციის და ილუმინაციის ფაზებს და ვაღწევთ დისკურსის დონეს, რის შემდეგაც იწყება top down პროცედურა. ამ დროს დისკურსიდან ჩამოვდივართ უმცირესი ერთეულების დონეზე და ვახდენთ თარგმანის ტექსტის ევალვაციას ანუ შეფასებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორივე პროცედურა პრაქტიკულად გვეხმარება თარგმნის პროცესში, ყველაზე ინტენსიურად მთარგმნელს მთლიან მიზან—ტექსტზე მუშაობა მაინც top down პროცედურის საშუალებით უხდება.

ტრანსლატიკისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ეგ. წ. „ჰორიზონტის“ ანუ „თვალსაწიერის“ ცნება, რომელშიც გადამერი მოაზროვნე ცნობიერების გაფართოების შესაძლებლობას ხედავს. ჰორიზონტის არმქონე ადამიანი შორს ვერ იყურება და ამის გამო მის ახლოს არსებული საგნებსა და მოვლენებს არასათანადო შეფასებას აძლევს. „ჰორიზონტის ქონა“, პირიქით ნიშნავს, არ იზღუდებოდე ახლოს არსებული საგნებითა და მოვლენებით და მათი საზღვრების მიღმა გასვლა შეგეძლოს. „ჰორიზონტის“ მქონე ადამიანს შეუძლია სწორად შეაფასოს როგორც ამ ჰორიზონტის მიღმა, ასევე მის შიგნით არსებული საგნები და მოვლენები, მათი სიახლოვის, სიდიდისა და სიძვირის შესაბამისად. (გადამერი, 1990: 307— 308)

ჰერმენევტიკის ცნობილ წარმომადგენელს პოლ რიკიორს ტექსტის პარადიგმის კვლევისას შემოაქვს „დისკურსის კონცეპტი“, რომელიც მას ენის სისტემის საპირისპიროდ ესმის როგორც ენობრივი ქმედება ანუ ენის უშუალო რეალიზაციის საშუალება. აღნიშნული კონცეპტის შემოტანით, რიკიორი ცდილობს ამ ცნების გამომიჯვანას სხვა დეფინიციებისაგან, რომელთა ხმარებამაც „ენისა“ და „მეტყველების“ ტერმინოლოგიური აღრევა გამოიწვია. პ. რიკიორს დისკურსის ცნება ჰერმენევტიკაში ზეპირი და წერილობითი სახით შემოაქვს. მისი აზრით, „ჰერმენევტიკული“ ანალიზი იმ წესების დაცვას გულისხმობს, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა კულტურის წერილობითი დისკურსების ანუ ტექსტების ინტერპრეტაციისათვის და, რომლებზედაც ვრცელდება „ჰერმენევტიკული გაგების“ კატეგორია (რიკიორი 1999: 260)

მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციისათვის პ. რიკიორი გვთავაზობს მის სემიოტიკურ ანალიზს, რომელიც მთარგმნელის შემთხვევაში გულისხმობს ტექსტის „გაგებას“ სემანტიკური, სინტაქსური და პრაგმატული თეორიების გამოყენებას.

მხატვრული მეტაფორიზებული ტექსტის „გაგების“ სიღრმისეული, სემანტიკური მეთოდი, არ გამორიცხავს ტექსტის საზრისის დეფორმაციას მთარგმნელის მხრიდან, რომელსაც თითქოს გზა ეხსნება მისი თავისუფალი ინტერპრეტაციისათვის. მაგრამ აღნიშნული მეთოდი ცხადყოფს, რომ ამ დროს „გაგებას“ არაფერი აქვს საერთო უცხო გაისტური შინაარსის ემოციონალურ იდენტიფიკაციასთან, თუ იგი თარგმნის პროცესში

მკაცრად იყენებს ეგ. წ. ექსპლანატორულ (Auslegung) მეთოდს, რომელიც თავისთავად გამორიცხავს სუბიექტური ფაქტორის გადამტეხვას, რადგან როგორც რიკიორი აღნიშნავს, ეს მეთოდი ხელს უწყობს ტექსტის პარადიგმატული ხასიათის დამკვიდრებას უკანასკნელ იმპლიკაციამდე. (რიკიორი 1999:293).

სწორედ მეტაფორიზებული, მხატვრული ტექსტის საზრისის განსხვავებული „გაგების“ პერსპექტივა აქვს მხედველობაში. ჰ. ჰესეს, როდესაც იგი „ტრამალის მგლის“ ერთ — ერთი გამოცემის ბოლოთქმაში წერს: „ჩემი ხნის მკითხველთა შორისაც არაერთგზის გამომჩენია ისეთებიც, ვიზეც ამ წიგნს შთაბეჭდილება კი მოუხდენია, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, მის საზრისს მიახლოებით თუ ჩაწვდომია. რატომღაც მგონია, ეს მკითხველები ტრამალის მგელში მხოლოდ საკუთარ თავს ხედავენ და მას საკუთარ „მე“ — სთან აიგივებენ; მის სატკივარს კი განიცდიან და აზრებსაც იზიარებენ, მაგრამ სავსებით ავიწყდებათ, რომ ამ წიგნს ჰარი ჰალერის სიმნელებთან ერთად, სხვა საზრუნავიც გააჩნია და სათქმელი სხვაც ბევრი აქვს...“ (ჰესე 1985:347)

ჰესე ამ დროს გულისხმობს მკითხველს, რომელსაც აქვს უფლება, საკუთარი აზროვნების, გამოცდილებისა თუ ენობრივი კატეგორიების რეალიზაციის საფუძველზე აღიქვას მეტაფორიზებული, მხატვრული ტექსტი, მაგრამ, ჩვენი აზრით, ტექსტის ამგვარი „გაგება“ გამორიცხულია მთარგმნელისათვის, რომელიც ჩართულია ჰერმენევტიკული ანალიზის პროცესში, გამოავლენს მის იდეალურ მარკერებს, და, რაც შეიძლება, სრულყოფილად ახდენს „გაგების“ კატეგორიის რეალიზაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დადგება იმ პრობლემის წინაშე, რომელსაც გამოხატავს იტალიური გამოთქმა: „traduttore — traditore“ ანუ „მთარგმნელი — მატყუარა“. ამ დროს საერთოდ ეჭვქვეშ დგება თარგმნის პროცესში ჰერმენევტიკული „გაგების“ ცნების რეალიზაციის მიზანშეწონილობა. მთარგმნელობითი საქმიანობის და „გაგების“ კატეგორიის მიმართ ორჭოფულ დამოკიდებულებას გამოხატავს ცნობილი მწერალი და ფილოსოფოსი ორტეგა — ი — გასეტი, რომელიც, ერთი მხრივ, სკეპტიკურად უყურებს მთარგმნელის მცდელობას, ადეკვატურად გადმოსცეს წყარო — ტექსტის საზრისი მიზან — ტექსტის ენაზე, მეორე მხრივ კი აცხადებს: „...თარგმანზე მუშაობის შეუძლებლად გამოცხადება არ ნიშნავს მისი შესაძლებელი ბრწყინვალეების უარყოფას. პირიქით, ამგვარი შეფასება მას საგანგებო კეთილშობილებას სძენს და გვამღეფს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ თარგმანს აზრი აქვს“. (ორტეგა — ი — გასეტი, 1991:525).

როდესაც ორტეგა — ი — გასეტი ამ ორ ურთიერთგამომრიცხავ თვალსაზრისს გამოთქვამდა, მას აშკარად მხედველობაში ჰქონდა ჰერმენევტიკული „გაგების“ ორმაგი ბუნება, რომლის თანახმადაც, თარგმნა შესაძლებელი ხდება, ერთი მხრივ, უნივერსალური აზროვნებითი კატეგორიების საშუალებით, ხოლო, მეორე მხრივ, თარგმნა შეუძლებელია იმის გამო, რომ ვერ ხერხდება ენებში არსებული, განსხვავებული „სამყაროსეული სურათებისა“ და მოდიფიცირებული, სემიოტიკური კოდების გახსნა და გადმოცემა.

მეტაფორიზებული, მხატვრული ტექსტების თარგმნა და ინტერპრეტაცია ყოველთვის შესაძლებელია მათი საზრისის „ჰერმენევტიკულ წრეში“ ჩართვით, როდესაც „გაგების“

კატეგორია მუდმივ მოძრაობას განიცდის მთელიდან ნაწილზე და ნაწილიდან მთელზე. ამ დროს, რაგინდ რთული არ უნდა იყოს მეტაფორიზებული ტექსტის საზრისის სიღრმისეული სტრუქტურა, მთლიანისა და ნაწილების ურთიერთმიმართება, მთარგმნელს ყოველთვის აძლევს სიგნალს, რომ „გაგება“ შედგა.

ისეთი მეტაფორიზებული, მხატვრული ტექსტის თარგმნისას, როგორც ჰესეს „ტრამალის მგელი“, მთარგმნელი აუცილებლად უნდა გაეცნოს სემიოტიკური მეტაფორული თეორიების, ერთი მხრივ, სტრუქტურულ, ხოლო მეორე მხრივ, ფუნქციონალურ თვალსაზრისებს. გარდა ამისა, არსებობს კიდევ სემიოტიკური თეორიები, რომელთა ინტერესის სფეროსაც მეტაფორის სემანტიკური და პრაგმატული კვლევა შეადგენს.

ე. როლფი 25 მეტაფორის თეორიას გამოყოფს. მათ შორის ყველაზე ცნობილია: შედარების, ინტერაქციული და სუბსტიტუციური თეორიები, დანარჩენი 22 თეორია იშვიათად არის მსჯელობის საგანი.

მეტაფორიზებული მხატვრული ტექსტების თარგმნისას მიზანშეწონილია, მეტაფორის თეორიებს შორის ორი მათგანი გამოვყოთ. ესენია: პ. რიკიორის პარადოქსის თეორია და რ. მაკ კორმაკის კოგნიციის თეორია.

პარადოქსის თეორიაში მეტაფორას უფრო ფართო განზომილება გააჩნია. ის მოიცავს: დისკურსს, ტექსტს და ჰერმენევტიკას, შესაბამისად ინტერპრეტაციას. რიკიორის თანახმად, მეტაფორის თეორიებს წრიული ხასიათი აქვთ, ამიტომ საჭიროა გავიზიაროთ ჰერმენევტიკული რჩევა, რომლის თანახმადაც, ისინი დროულად და სწორად უნდა ჩავრთოთ ჰერმენევტიკულ წრეში. პ. რიკიორი აღწერს მეტაფორას, როგორც პარადოქსს, რომელშიც განსხვავებული ცნებები მსგავსების საფუძველზე უახლოვდებიან და ერწყმიან ერთმანეთს. რიკიორის აზრით, მეტაფორა მხატვრული ტექსტის პარადიგმას, და, ინტერპრეტაციის დონეზე, მისი საზრისის გაგების გასაღებს წარმოადგენს. (როლფი, 2005:199).

კოგნიციის თეორია მეტაფორას სამ დონეზე აღწერს. ეს არის ენობრივ— კულტურული პროცესი. კორმაკის თანახმად, ახალი მეტაფორები იმისდა მიხედვით გარდაქმნიან ენას, თუ რა სახით აღვიქვამთ და შევიცნობთ სამყაროს. (როლფი 2005:187).

ამრიგად მთარგმნელს შეუძლია ჰ. ჰესეს „ტრამალის მგლის“ ტექსტის ინტერპრეტაციის დროს, ამ ორი მეტაფორული თეორიის თვალსაზრისით იხელმძღვანელოს.

ამასთან „ტრამალის მგლის“ მეტაფორის იდეა შეიძლება დაუკავშიროთ უ. ეკოს „ნუკლეანურ საზრისს“, რომელშიც გაცხადდება აღნიშნული ტექსტის ნებისმიერი მეტაფორული სტრუქტურა. (უ. ეკო 2009:104)

ეს ცნება მიმართულია აგრეთვე ტექსტის მთლიან საზრისთან, რადგან იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ტრამალის მგლის“ სემანტიკური ჰიპერონიმი, რომლის ჰიპონიმებიც მისი მნიშვნელობის სემებს ქმნიან.

ამრიგად, ჰესეს ამბივალენტურ, მეტაფორიზებულ ტექსტს მთარგმნელი მიჰყავს მის „ნუკლეანურ საზრისთან“ ანუ „ტანჯვის“ ჰიპერონიმთან, რომელიც სხვადასხვა ჰიპონიმებად იშლება, რის შემდეგაც იგი უზრუნველყოფს ცალკეული მეტაფორების კოპერენციას. ეს ჰიპონიმებია: Verzweiflung, Vereinsamung, Steppenwolfigkeit, Wildheit, Fremdling, Qual und Holle, Weltverachtung, Selbstverachtung, Zwiespaltigkeit და სხვ.

ამრიგად, ჰ. ჰესეს „ტრამალის მგელი“ წარმოადგენს დიდ მეტაფორას, რომელსაც მთარგმნელი— ინტერპრეტატორი აღიქვამს როგორც მის სემიოტიკურ კონტენტს და ენათმეცნიერებით პარადიგმას. ამ ტექსტის მეტაფორები, რომლებიც ავტორის ესთეტიკურ სისტემაში კომპლექსურად გაერთიანდებიან, გაცდებიან სემიოტიკური კონვენციების საზღვრებს და მის შემდგომ მეტაფორიზებულ მხატვრულ ტექსტებში ინტერტექსტუალური „ნუკლეანური საზრისის“ სახით გაცხადდებიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

გადამერი 1990: Gadamer, Hans— Georg, Wahrheit und Methode, Tübingen, 1990

კუსმაული 2000: Kussmaul, Paul. "Kreatives Übersetzen", Stauffenburg Verlag, Tübingen 2000

რიკორი 1991: Ricoeur, "Philosophische Hermeneutik" in "Philosophische Hermeneutik",
Zusammengestellt von Hans— Ulrich Lessing, Bd. 7. Breisgau, München, 1991.

ჰესე 1985: ჰესე, ჰერმან, „დამსვენებელი“, „ტრამალის მგელი“, ავტორის ბოლოთქმა,
თარგმანი ნანა გოგოლაშვილისა, „მერანი“, თბილისი, 1985.

ორტეგა— ი— გასეტი 1991: Ортега— и Гассет, Дегуманизация искусства, Прогресс, Москва,
1991.

როლფი 2005: Rolf, Eckard, "Metaphertheorien. Typologie, Darstellung, Bibliographie". Berlin,
New— York, Walter de Gruyter, 2005.

ეკო 2009: Eco, Umberto, "Quasi dassible mit anderen Worten, Deutscher Taschenbuch Verlag,
München. 2009.